

მორალური ზიანის ანაზღაურება ქართული და ანგლოამერიკული
სამართლის მიხედვით

თამარ ხუბუტია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შალვა პაპუაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს პირად ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესის შესაბამისად.

ხელმოწერა:

თამარ ხუბუტია

აბსტრაქტი

ადამიანის უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენს უმაღლეს ღირებულებას, რომელიც აღიარებულია ყველა თანამედროვე განვითარებული და დემოკრატიული წყობილების მქონე სახელმწიფოს მიერ.

ამ უფლებების სამართლებრივი აღიარება, შემდგომ კი მათი ეფექტური დაცვის მექანიზმების შემუშავება სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ვალდებულებაა. აღნიშნული უფლებების სამართლებრივ გარანტად გვევლინება საქართველოს უზენაესი კანონი - კონსტიტუცია, რომელიც სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შორის იცავს ისეთ არაქონებრივ უფლებებს, როგორცაა სიცოცხლე, ჯანმრთელობა, პატივი, ღირსება, სიტყვის, აზრის თავისუფლება და ა.შ.

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებების დაცვას ემსახურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც, რომელიც ახდენს მორალური ზიანის, როგორც ინსტიტუტის აღიარებას და გვთავაზობს მისი სამართლებრივი დაცვის მექანიზმებს.

არაქონებრივი უფლებების დარღვევისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი დროთა განმავლობაში უფრო და უფრო აქტუალური ხდება. როგორც ყველა განვითარებული და დემოკრატიული ქვეყნის სამართლებრივი სისტემა, ქართული კანონმდებლობა ცნობს და აღიარებს მორალური ზიანის ანაზღაურების ამ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს. ამ კუთხით ქართულ სამართლებრივ სივრცეში არც თუ დიდი პრაქტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული საკითხი საჭიროებს ღრმა კვლევასა და დამუშავებას როგორც მეცნიერულ, ისე საკანონმდებლო დონეზე.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგნად შერჩეულია ქართული და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემებში განსხვავებული მიდგომების ანალიზი, განსხვავებულ სისტემებში მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის შედარებითი კვლევა, სადაც გამოკვეთილი იქნება ის აქტუალური საკითხები, პრობლემები და პერსპექტივები, რაც ამ ინსტიტუტის განვითარებასთან, სამომავლო დახვეწასთან მჭიდრო კავშირშია.

Abstract

Human rights and freedom is the highest value, which is recognized in all modern developed and democratic order of the state.

Legal recognition of these rights, then their effective protection mechanism, one of the fundamental obligation of the State. The rights of the legal guarantee of the supreme law - the Constitution, which protects the fundamental rights and freedoms of other non-property rights, such as life, health, honor, dignity, freedom of speech, freedom of thought, etc.

Protect the rights are guaranteed by the Constitution of Georgia in the current legislation, including the Civil Code, which is a non-pecuniary damage, the institute offers its legal recognition and protection mechanisms.

Compensation of violation of moral rights is more and more relevant. As in all developed legal system and democratic country, Georgian legislation recognizes this important institution in moral damages. In this regard, Georgia does not have a great practice hence this issue requires a deep scientific research and development as well as the legislative level.

Represented the master's research on the subject is selected Georgian and Anglo-American legal systems are different approaches to the analysis of different systems in moral damages to the comparative study, which will find out and underline main issues, problems and prospects, what is connected with development of institution. The main thematic search words: moral damages, compensation for moral damages.